საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
INVESTIGATION SERVICE

8677-15-02-2-201810111522

N 8677 / 15-02
11.10.2018

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ბ- ნ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის #3-269 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური 2017 წელს და 2018 წლის პირველ ნახევარში, სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე აწარმოებდა სულ 3 (სამი) სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, ხოლო ამავე კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ განხორციელებულა.

ამასთან, 2017 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე წარიმართა მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, ხოლო 2018 წლის პირველ ნახევარში - ორი სისხლის სამართლის საქმის. დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული სამი სისხლის სამართლის საქმიდან სურსათთან დაკავშირებული იყო შესაბამისად 2017 წელს - ერთი, ხოლო 2018 წლის პირველ ნახევარში - ორი საქმე.

პატივისცემით,

ნანა ხუციშვილი

ადმინისტრაციის უფროსი
საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაცია

ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. N2ა; ტელ.: (995 32) 226 20 48, 226 20 47, 226 20 46; ფაქსი: (995 32) 226 20 18, 226 20 48
Tbilisi, georgia, 0177 , 2a, Universiteti str.; Tel.: (995 32) 226 20 48, 226 20 47, 226 20 46; Fax: (995 32) 226 20 18, 226 20 48